ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11162/01
13/11/2019

11162-01-2-201911131531

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 აპრილის საქართველოს მთავრობის N751 განკარგულება ითვალისწინებს, ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათბის“, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან 7 045 000 (შვიდი მილიონ ორმოცდახუთი ათასი) ლარის გამოყოფას, საიდანაც:

2 040 000 (ორი მილიონ ორმოცი ათასი) ლარი განსაზღვრულია „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის N265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის. აღნიშნული თანხიდან, 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი გამოყოფილია 2 (ორი) მუნიციპალიტეტში რძის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა-აღჭურვისთვის, ხოლო 540 000 (ხუთას ორმოცი ათასი) ლარი მისაბმელი იმპლემენტების თანადაფინანსებისთვის. ვინაიდან საქართველოს მთავრობის N265 დადგენილებაში ცვლილება ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 16 აგვისტოს და ქვეპროგრამის განმახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის და ხაზინის ელექტრონულ სისტემაში არ არის დარეგისტრირებული ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ 2 (ორი) მუნიციპალიტეტში რძის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა-აღჭურვა საჭიროებს ტენდერის საშუალებით შესყიდვის განხორციელებას, ამასთან აღნიშნული მუნიციპალიტეტები წარმოადგენენ მაღალმთიან რაიონებს, სადაც მშენებლობისათვის გვიანი შემოდგომა-ზამთრის სეზონზე არ არის ხელსაყრელი კლიმატური პირობები, შეუძლებელია 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარიდან მიმდინარე წელს ათვისებულ იქნას 1 450 000 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარი. დარჩენილი 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით მოხდება მშენებლობის არსებული პროექტების ექსპერტიზის მომსახურების შესყიდვა.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

რაც შეეხება მისაბმელი იმპლემენტების თანადაფინანსების თანხას 540 000 (ხუთას ორმოცი ათასი) ლარს, მიმდინარე წელს შეუძლებელია ათვისებულ იქნას 340 000 (სამას ორმოცი ათასი) ლარი. თანხის აუთვისებლობის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ რეგისტრირებული კოოპერატივებისათვის, არ არის გადაცემული შესაბამისი სათიბსაძოვარი მიწის ნაკვეთები.

2 000 000 (ორი მილიონი) ლარი განსაზღვრულია „მევენახეობის სასოფლოსამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის N34 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის. აღნიშნული თანხიდან, მიმდინარე წელს ვერ იქნება ათვისებული 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, რადგან 2017 წლის 26 იანვრის N34 მთავრობის დადგენილებაში ცვლილებები წარდგენილია დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობსათვის და ამ დროისთვის არ არის დამტკიცებული.

აქვე გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილია ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან 2020 წელს გამოეყოს 10 500 000 (ათი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, საიდანაც:

8 500 000 (რვა მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართულ იქნება „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის N265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის. აღნიშნული თანხიდან, 8 150 000 (რვა მილიონ ას ორმოცდაათი ათასი) ლარი გამოყოფილი იქნება 3 (სამი) მუნიციპალიტეტში (ახალქალაქი, წალკა, დმანისი) რძის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა-აღჭურვისთვის, ხოლო 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარი მისაბმელი იმპლემენტების თანადაფინანსებისთვის.

1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართულ იქნება „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის N34 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის.

500 000 (ხუთასი ათასი) ლარი მიმართული იქნება „რძის მწარმოებელი სასოფლოსამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N150 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე